

**ფაქტობრივი
გარემოებები**

2014 საანგარიშო წლის მიხედვით წარდგენილ მოგების გადასახადის დეკლარაციაში საწარმოს ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვით ხარჯებში ჩართული აქვს მიწაზე ქონების გადასახადი.

I ვარიანტი:

საწარმოს მიწა შეძენილი აქვს 2015 წლის თებერვალში. შესაბამისად, დასაბეგრი მიწის შესახებ მონაცემები შეტანილია ქონების გადასახადის დეკლარაციაში, რომელიც წარედგინება არა უგვიანეს 2015 წლის 1 აპრილისა.

II ვარიანტი:

საწარმოს მიწა შეძენილი აქვს 2014 წლის მარტში. შესაბამისად, დასაბეგრი მიწის შესახებ მონაცემები შეტანილია ქონების გადასახადის დეკლარაციაში, რომელიც წარედგინება არაუგვიანეს 2014 წლის 1 აპრილისა.

III ვარიანტი:

საწარმოს მიწა შეძენილი აქვს 2014 წლის აგვისტოში. შესაბამისად, დასაბეგრი მიწის შესახებ მონაცემები შეტანილია ქონების გადასახადის დეკლარაციაში, რომელიც წარედგინება არაუგვიანეს 2015 წლის 1 აპრილისა.

შეფასება

სსკ-ის 203-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელია პირი საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე. ამავე კოდექსის 135-ე მუხლის თანახმად, საგადასახადო წლად ითვლება კალენდარული წელი. სსკ-ის 205-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების გათვალისწინებით, ქონების გადასახადის საგადასახადო პერიოდად ითვლება კალენდარული წელი, ხოლო ქონების გადასახადის დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი მიწის შესახებ შეიტანება მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით.

I და III ვარიანტში:

იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს 2015 წლიდან, იგი არ არის უფლებამოსილი 2014 საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს მიწაზე ქონების გადასახადი.

II ვარიანტში:

იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს 2014 წლიდან, იგი უფლებამოსილია 2014 საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს მიწაზე ქონების გადასახადი.

ლონისძიებები

I და III ვარიანტში:
პირი დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირებისათვის დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლის შესაბამისად.

II ვარიანტში:
პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება.

ანოტაცია
„მიწაზე ქონების გადასახადის ხარჯად გამოქვითვა“ №0267
სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს მიწაზე ქონების გადასახადის ხარჯად გამოქვითვის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, 2014 საანგარიშო წლის მიხედვით წარდგენილ მოგების გადასახადის დეკლარაციაში საწარმოს ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვით ხარჯებში ჩართული აქვს მიწაზე ქონების გადასახადი.

სახელმძღვანელოში განხილულ პირველ შემთხვევაში საწარმოს მიწა შეძენილი აქვს 2015 წლის თებერვალში. შესაბამისად, დასაბეგრი მიწის შესახებ მონაცემები შეტანილია ქონების გადასახადის დეკლარაციაში, რომელიც წარედგინება არა უგვიანეს 2015 წლის 1 აპრილისა. მეორე შემთხვევაში საწარმოს მიწა შეძენილი აქვს 2014 წლის მარტში. შესაბამისად, დასაბეგრი მიწის შესახებ მონაცემები შეტანილია ქონების გადასახადის დეკლარაციაში, რომელიც წარედგინება არაუგვიანეს 2014 წლის 1 აპრილისა. ხოლო მესამე შემთხვევაში საწარმოს მიწა შეძენილი აქვს 2014 წლის აგვისტოში. შესაბამისად, დასაბეგრი მიწის შესახებ მონაცემები შეტანილია ქონების გადასახადის დეკლარაციაში, რომელიც წარედგინება არაუგვიანეს 2015 წლის 1 აპრილისა.

სსკ-ის 203-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელია პირი საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე. ამავე კოდექსის 135-ე მუხლის თანახმად, საგადასახადო წლად ითვლება კალენდარული წელი. სსკ-ის 205-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების გათვალისწინებით, ქონების გადასახადის საგადასახადო პერიოდად ითვლება კალენდარული წელი, ხოლო ქონების გადასახადის დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი მიწის შესახებ შეიტანება მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით.

პირველ და მესამე შემთხვევებში, იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს 2015 წლიდან, იგი არ არის უფლებამოსილი 2014 საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს მიწაზე ქონების გადასახადი. ხოლო მეორე შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს 2014 წლიდან, იგი უფლებამოსილია 2014 საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს მიწაზე ქონების გადასახადი.